საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990116497792122

№17/2688 **10 / ნოემბერი / 2022 წ.**

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს პირდაპირი მიყიდვისა და
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
განკარგვის სამსახურის უფროსს
ბატონ ლაშა დვალიშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 19 სექტემბრის N6/52271 კორესპონდენცია, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, გლდანის ტერიტორიაზე მდებარე 38691 კვ.მ. (ს/კ N72.13.16.439) და 90927 კვ.მ (ს/კ N72.13.16.441) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განკარგვის საკითხს. გაცნობებთ, რომ შერჩეულ მიწის ნაკვეთებზე არ არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში (https://memkvidreoba.gov.ge) არსებული მონაცემების მიხედვით, 90927 კვ.მ (ს/კN72.13.16.441) მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილი ექცევა "მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის ერთიან ვიზუალური დაცვის არეალში" (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის ბრძანება N03/212) და იმავე კონფიგურაციის მქონე ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ დამტკიცებული მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების 2017-18 წწ. კორექტირებული ზოგადი დამცავი ზონების საზღვრის პროექტის მიხედვით. შესაბამისად, ნაკვეთის ამ ნაწილზე ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. დანართის სახით გიგზავნით სიტუაციის ამსახველ თემატურ რუკას.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით. ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის დადგენის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტებისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების, ასევე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და მისი იერსახის აღდგენა.

ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში აუცილებელია: ბუნებრივი რელიეფისა და წყალსატევების შენარჩუნება, ლანდშაფტის განთავისუფლება კულტურულ ღირებულებას მოკლებული, დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობებისა და ნარგავებისაგან, მცენარეული საფარის დაცვა-რეგულირება, ტყისა და მწვანე საფარის ბუნებრივი აღდგენის უზრუნველყოფა, მდელოებისა და სხვა ტერიტორიების დაცვა დამეწყვრისა და წალეკვისაგან.

ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში დაშვებულია მხოლოდ კულტურული ან ისტორიული ღირებულების მქონე შენობა-ნაგებობების კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის მიზნებთან და ამოცანებთან ფუნქციურად დაკავშირებული ნაგებობების, საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებული დროებითი ნაგებობების ან სახელმწიფოებრივი ინტერესით განპირობებული იმგვარი ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც მნიშვნელოვნად არ უცვლის სახეს ისტორიულ რელიეფსა და ლანდშაფტს, არ აუარესებს ზონაში დაცული და ვიზუალური დაცვის არეალებში განლაგებული კულტურული მემკვიდრეობის

აღქმას. ასევე, ისეთი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის მიზნებსა და ამოცანებს.

ასევე, აღნიშნული ნაკვეთის სიახლოვეს მდებარეობს არქეოლოგიური ობიექტი "ნამოსახლარი" (გის ბაზის N26533), რომელსაც მოცემულ ეტაპზე არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და მას არ გააჩნია ინდივიდუალური დამცავი ზონები. თუმცა, ნებისმიერი მიწის სამუშაოები ამ ტერიტორიაზე საჭიროებს არქეოლოგის ზედამხედველობას, უცნობი არტეფაქტების სავარაუდო დაზიანების პრევენციის მიზნით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 90927 კვ.მ (ს/კ N72.13.16.441) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში, სრულად უნდა იყოს დაცული "კულტურულ /2022 file:///tmp/tomcat8-tomcat8-tmp/03874cd7-0295-4657-8190-cfbc6c6e8c09.html 2/2 მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული რეჟიმი. ხოლო მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, ან აღმოჩენის, ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სამინისტროს (მოცემულ ეტაპზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს) არა უგვიანეს 7 დღისა ("კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონი; მუხლი 10).

რაც შეეხება 38691 კვ.მ. (ს/კ N72.13.16.439) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, ის არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში და მასზე არ ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი


N
ლეგენდა
ნამოსახლარი (მცხეთის ჯვრის მიდამოების გათხრები)
მიწის ნაკვეთი ს/კ 72.13.16.441
მიწის ნაკვეთი ს/კ 72.13.16.439
ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა
მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ერთიანი ვიზუალური დაცვის არეა